## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2295/ 70

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ 1 “ 04 2011 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

### 2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“), მინისტრის პირველი მოადგილის თამარ მარტიაშვილის სახით და, მეორეს მხრივ, ---------- [illegible] ----------

მიმსამართი ---------- [illegible] ----------

წარმომადგენელ- [illegible] ----------(შემდგომში „მიმწოდებელი“)შორის.

### 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტების ადმინისტრაციის ხარჯების შესყიდვა (გამარტივებული შესყიდვა).

### 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. "2011 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის № 18 ბრძანების შესაბამისად ორგანიზებულად ჩასახლებულ ადგილებში ერთ დევნილზე განსაზღვრულია თვეში ორი ლარის ოდენობით.

4.2. 4.2. მიმწოდებლის კუთვნილ ობიექტზე ორგანიზებულად ჩასახლებულ დევნილთა რიცხოვნობა ხელშეკრულების გაფორმების დღეისთვის სამინისტროში არსებული მონაცემების მიხედვით შეადგენს ------100------ სულს.

4.3. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება ხდება ყოველთვიურად, რომელიც გამოიანგარიშება ამ ხელშეკრულების 4.1 მუხლში მითითებული ტარიფის გადამრავლებით ობიექტში რეგისტრირებულ დევნილთა რაოდენობაზე.

### 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ყოველდღიურად გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.. იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების საჯაროდ გაცნობა მის კუთვნილ ობიექტში ჩასახლებულ დევნილებზე.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის № 18 ბრძანების შესაბამისად წარმოადგინოს დოკუმენტაცია ხელშეკრულების გასაფორმებლად.

5.4. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და გაკოტრების საქმე.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია 1 თვით ადრე წერილობით აცნობოს შემსყიდველს, მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ მოსალოდნელი გაკოტრების საქმის დაწყების თაობაზე.

5.6. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება.

5.7. წინამდებარე ხელშეკრულებით მიღებული თანხის კანონიერ ხარჯვაზე და "5.4", "5.5." და "14.1" პუნქტებით განსაზღვრული ინფორმაციების დროულ მიუწოდებლობაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება "მიმწოდებელს".

### 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

### 7. გასაწევი მომსახურების ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მახალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

### 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

8.2 ანარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად საანგარიშსწორებო პერიოდში სამინისტროში რეგისტრირებულ დევნილთა რიცხოვნობის შესაბამისად.

8.3. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.4. ანგარიშწორება განხორციელდება “2011 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში, ყოველთვიურად სამინისტროს მონაცემთა ბაზაში არსებული დევნილთა რაოდენობის შესაბამისად 2011 წლის 1 იანვრიდან.

### 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.4. მხარეები თანმხდებიან, რომ საქართველოს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებები, გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების ცვლილებას.

### 10. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

### 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

### 12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ყოველთვიურად გადასახდელი თანხის 1 %-ის ოდენობით.

12.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 14 ხელშეკრულების შეწყვეტის განსაკუთრებული პირობა

14.1. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება "იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის "ბ", "გ" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ, კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან დევნილთა გამოსახლების შემთხვევაში.

14.2. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება "იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან დევნილთა გამოსახლების შემთხვევაში დევნილთან შესაბამისი წერილობითი შეთანხმების დადებისთანავე.

14.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია "14.1." პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების მოსალოდნელი დადგომის შესახებ აცნობოს "შემსყიდველს" არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

## 15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 16. სხვა პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია "2011 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად და აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

| შემსყიდველი ორგანიზაცია: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო<br>ს/კოდი: 200037646<br>მისამართი: ქ. თბილისი თამარაშვილის №15/ა<br>სახელმწიფო ხაზინა<br>ს/კოდი 220101222,<br>ა/ა № 200122900<br><br>მინისტრის პირველი მოადგილე<br>თამარ მარტიაშვილი | [illegible]<br>ს. კოდი 217890192<br>მისამართი [illegible]<br>ტელ: 877 177997<br><br>ბ. კოდი UGEBGE 22<br>ა/ა GE 80 VT02000000000393408 |